საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-15/1609
08/02/2022

1609-15-15-2-202202081050

საქართველოს ფინანსთა მინისტრს
ბატონ ლაშა ხუციშვილს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შიდა ინსპექტირების სამმართველოს დებულების შემუშავებისა და დამტკიცების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ლაშა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა ადვოკატ [redacted] განცხადება, მისი დაცვის ქვეშ მყოფი [redacted] დაცვის უფლების შეზღუდვის ფაქტთან დაკავშირებით და შეისწავლა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შიდა ინსპექტირების სამმართველოს (შემდგომში - შიდა ინსპექტირების სამმართველო) მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები.

საქმის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ფინანსთა სამინისტროს არ აქვს დამტკიცებული შიდა ინსპექტირების სამმართველოს დებულება ან ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური დევნის წესი, რომელიც განსაზღვრავდა სამსახურებრივი შემოწმების დროს შიდა ინსპექტირების სამმართველოს ფუნქციას, კომპეტენციას, საქმიანობის მეთოდებს, უფლება-მოვალეობებს და სხვა. შესაბამისად, იქმნება თანამშრომელთა მხრიდან სამსახურებრივი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების საფრთხე, რასაც შესაძლოა ვერ მოჰყვეს გამართული პროცედურული წესების დაცვით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ფაქტობრივი გარემოებები

ადვოკატ [redacted] განცხადების თანახმად, 2021 წლის 19 აგვისტოს, დააკავეს მისი დაცვის ქვეშ მყოფი [redacted] რომელიც გადაიყვანეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის აჭარისა და გურიის სამმართველოს (შემდგომში - აჭარისა და გურიის სამმართველო) ადმინისტრაციულ შენობაში. დაკავებისთანავე, [redacted] მეუღლე დაუკავშირდა მას და აცნობა [redacted] დაკავების შესახებ. ადვოკატი დაუყოვნებლივ გამოცხადდა აჭარისა და გურიის სამმართველოში, [redacted] დაცვის მიზნით. მისივე გადმოცემით, დაცვის პოლიციის თანამშრომელმა აცნობა გამომძიებელ [redacted] ადვოკატის გამოცხადების შესახებ, თუმცა გამომძიებლის მითითებით, დაახლოებით ერთი საათით, დააყოვნეს და არ შეუშვეს თავის დაცვის ქვეშ მყოფ პირთან, რითიც ადვოკატს ხელი შეუშალეს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში.

მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით, შესაბამისი რეაგირების მიზნით, ადვოკატმა მიმართა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს.[1]

ადვოკატ [redacted] განცხადებაში, ასევე აღნიშნულია, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის აჭარისა და გურიის სამმართველოს შენობაში ყოფნის დროს, როდესაც არ ეძლეოდა [redacted] შესაძლებლობა, სოციალური ქსელის facebook-ის საშუალებით, პირდაპირ ეთერში საჯაროდ ავრცელებდა ინფორმაციას მისთვის საადვოკატო საქმიანობაში ხელშეშლის შესახებ.[2] როგორც ადვოკატი [redacted] პირდაპირ ეთერში აღნიშნავს, ადგილზე გამოცხადდნენ ჟურნალისტები, კადრში ჩანს ოპერატორი. ინფორმაცია გავრცელდა ასევე ჟურნალ „[redacted]"-ს მიერ.[3]

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა შიდა ინსპექტირების სამმართველოს და გამოითხოვა ინფორმაცია ადვოკატ [redacted] მიერ დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.[4]

შიდა ინსპექტირების სამმართველოს მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შიდა ინსპექტირების სამმართველომ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება [redacted] განცხადებაში ასახულ ფაქტთან დაკავშირებით. ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.[5]

---

[1] ადვოკატ [redacted] 2021 წლის 23 აგვისტოს NCA0041214923834 განცხადება.
[2] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3rQ6PXL > [ბოლოს ნანახია 19.01.2021].
[3] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/348LJM3 > [ბოლოს ნანახია 19.01.2021].
[4] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 13 სექტემბრის N15-15/8820 წერილი.
[5] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შიდა ინსპექტირების სამმართველოს 2021 წლის 15 სექტემბრის N13175 / 15-08 საპასუხო წერილი.

სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა[6] და შეისწავლა შიდა ინსპექტირების სამმართველოს მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები, რომელთა თანახმად, ახსნა-განმარტება ჩამოერთვა ადვოკატ [redacted], აჭარისა და გურიის სამმართველოს უფროს გამომძიებელ [redacted] და [redacted] დაკავებაში მონაწილე ორ სხვა ინსპექტორ-გამომძიებელს.[7]

გამომძიებელ [redacted] ახსნა-განმარტების თანახმად, დაკავებული [redacted] აჭარისა და გურიის სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში შეიყვანეს 2021 წლის 19 აგვისტოს, 13:59 საათზე. დაახლოებით 15:08 საათზე, მისივე მობილური ტელეფონის საშუალებით, ბრალდებული [redacted] ესაუბრა ადვოკატ [redacted], რომელმაც საუბრისას განმარტა, რომ იმყოფებოდა აჭარისა და გურიის სამმართველოს შენობასთან და მალე შევიდოდა. გამომძიებლის თქმით, დაახლოებით 15:11 საათზე, ის კვლავ დაუკავშირდა ადვოკატ [redacted] იმის გასარკვევად, თუ რამდენ ხანში აპირებდა შენობაში შესვლას, რადგან აპირებდნენ ბრალდებულის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანას. მისივე გადმოცემით, ადვოკატმა [redacted] შეხვედრისას უთხრა, რომ დაახლოებით 14:20 საათიდან ელოდებოდა სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობასთან, თუმცა გამომძიებელმა იქვე აღნიშნა, რომ მისთვის არავის უცნობებია ადვოკატის აჭარისა და გურიის სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობასთან ყოფნის შესახებ.

რაც შეეხება დაკავებაში მონაწილე ინსპექტორ-გამომძიებლის ახსნა-განმარტებებს, აღნიშნული პირების მიერ შიდა ინსპექტირების სამმართველოსთვის მიწოდებული ინფორმაცია არ ეხებოდა უშუალოდ ადვოკატ [redacted] მიერ დაფიქსირებულ პრეტენზიას საადვოკატო საქმიანობის ხელშეშლასთან დაკავშირებით. ისინი ახსნა-განმარტებებში მიუთითებდნენ დაკავების პროცესსა და სხვა დეტალებზე.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ შიდა ინსპექტირების სამმართველოს მიერ, ზემოაღნიშნული პირებისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გარდა, აჭარისა და გურიის სამმართველოს თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომის დადგენის მიზნით, სხვა მოქმედება არ არის ჩატარებული. ადვოკატის გამოკითხვის გარდა, არ არის მოპოვებული რაიმე ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც უარყოფდა ან დაადასტურებდა აჭარისა და გურიის სამმართველოს თანამშრომლებისა ან ადვოკატ [redacted] მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შიდა ინსპექტირების სამმართველოს მხრიდან არც მსგავსი მტკიცებულების მოპოვების მცდელობა დგინდება.

სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების დროს, შიდა ინსპექტირების სამმართველოს არ ამოუწურავს ინფორმაციის მიღების ყველა შესაძლებლობა. კერძოდ:

---

[6] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 30 სექტემბრის N15-15/9335 წერილი.

[7] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შიდა ინსპექტირების სამმართველოს 2021 წლის 7 ოქტომბრის N14184 / 15-08 წერილი.

- არ არის დათვალიერებული აჭარისა და გურიის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის დერეფნის ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები, სადაც ადვოკატი [redacted] ელოდებოდა ბრალდებულთან შეშვებას;

- არ არის გამოკითხული დაცვის პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც, ადვოკატ [redacted] განმარტებით, აცნობა გამომძიებელ [redacted] ადვოკატის გამოცხადების შესახებ;
- არ არის გამოკითხული ბრალდებული [redacted], დაცვის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით მისი პოზიციის დადგენის მიზნით.

ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების არასრულყოფილების გათვალისწინებით, სამსახურებრივი შემოწმების ჩამტარებელი პირის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შეფასების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.

შიდა ინსპექტირების სამმართველოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა

შიდა ინსპექტირების სამმართველოს ფუნქცია-მოვალეობების დადგენის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა სცადა სამმართველოს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოძიება.[8] თუმცა, აღმოჩნდა, რომ შიდა ინსპექტირების სამმართველოს ცალკე სახელმძღვანელო დებულება არ გააჩნია და არც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური წარმოების წესია შემუშავებული.[9]

შიდა ინსპექტირების სამმართველოს განმარტებით, სამმართველო თავისი ფუნქცია-მოვალეობების განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი ნორმატიული აქტებით - „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის N790 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულება", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 ნოემბრის N764 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სამსახურის გავლის წესი" და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დამტკიცებული სხვა სამართლებრივი აქტები.[10]

აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სამსახურის გავლის წესში, საგამოძიებო სამსახურის შიდა ინსპექტირების სამმართველოს არსებობის შესახებ მითითებაც კი არ არის. ხოლო ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო

---

[8] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 17 ნოემბრის N15-15/10985 და 2 დეკემბრის N15-15/11359 წერილები.

[9] შიდა ინსპექტირების სამმართველოს 2021 წლის 19 იანვრის N16560 / 15-08 საპასუხო წერილი.

[10] შიდა ინსპექტირების სამმართველოს 2021 წლის 7 დეკემბრის N17489 / 15-08 საპასუხო წერილი.

სამსახურის დებულებაში, შიდა ინსპექტირების სამმართველოს ეთმობა მხოლოდ ერთი ზოგადი მუხლი სამმართველოს ძირითადი ამოცანების შესახებ.[11]

შესაბამისად, მითითებული სამართლებრივი აქტებით არ არის განსაზღვრული ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შიდა ინსპექტირების სამმართველოს კომპეტენცია, ფუნქციები, საქმიანობის მეთოდები და სხვა მნიშვნელოვანი დებულებები, რაც ნათელ წარმოდგენას შეუქმნიდა როგორც მოსამსახურეს, ასევე, სხვა დაინტერესებულ პირს შიდა ინსპექტირების სამმართველოს კომპეტენციაზე, მიზნებსა და ამოცანებზე, უფლებამოსილების ფარგლებზე.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, „სამსახურის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, ჰუმანიზმისა და საჯაროობის პრინციპებს".[12]

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების შესაბამისად, „სამსახური წარმართავს თავის საქმიანობას კანონიერების, პიროვნების ღირსების, პატივისცემის, სამართლიანობის, ჰუმანიზმისა და საჯაროობის პრინციპებზე დაყრდნობით...".[13]

„შიდა ინსპექტირების სამმართველოს ძირითადი ამოცანაა, კომპეტენციის ფარგლებში - სამსახურის სისტემაში სამსახურის მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი ეთიკის, დისციპლინური ნორმების და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი; სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა გამოვლენა, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა და სათანადო რეაგირება; სამსახურის მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტების სამსახურებრივი შემოწმება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და სამსახურის უფროსისათვის წარდგენა.[14]

როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური დევნისა და სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების კონკრეტული წესი ცალკეული ნორმატიული აქტებით არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, ივარაუდება, რომ შიდა ინსპექტირების სამმართველოს თანამშრომელი, დაკისრებული სამსახურებრივი ვალდებულების შესრულების დროს, ხელმძღვანელობს იმ ზოგადი დებულებებით, რაც გაწერილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სამსახურის გავლის წესში[15] და საერთოა საგამოძიებო სამსახურის ყველა თანამშრომლისთვის.

---

[11] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის N790 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების" მე-4[2] მუხლი.

[12] „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

[13] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის N790 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების" პირველი პუნქტის მე-5 ქვეპუნქტი.

[14] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის N790 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების" მე-4[2] მუხლის „ა", „ბ" და „დ" ქვეპუნქტები.

[15] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 ნოემბრის N764 ბრძანება.

კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სამსახურის გავლის წესის მეხუთე თავით განსაზღვრულია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მოსამსახურეთა უფლებები და ვალდებულებები.

მითითებული სამართლებრივი აქტის 28-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, „სამსახურის თანამშრომელს უფლება აქვს გაეცნოს ყველა შესაბამის დოკუმენტს, რომლითაც განსაზღვრულია მისი თანამდებობის შესაბამისი უფლება-მოვალეობები, მიიღოს თანამდებობრივი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები." კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მითითებული რეგულაციისა, არ არსებობს ნორმატიული დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნებოდა შიდა ინსპექტირების სამმართველოს თანამშრომლის, როგორც სამსახურებრივი შემოწმების ჩამტარებელი უფლებამოსილი პირის, უფლებები და მოვალეობები.

ამავე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, „სამსახურის თანამშრომელს უფლება აქვს <u>დადგენილი წესით</u> მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია და მასალები, რომლებიც საჭიროა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისთვის." ხოლო „ჟ" ქვეპუნქტის თანახმად, „თანამშრომელს უფლება აქვს დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად დაუბრკოლებლად მიიღოს ინფორმაცია სამთავრობო დაწესებულებებიდან, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით დადგენილია ინფორმაციის მიღების სხვა წესი." მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ აღნიშნულ ქვეპუნქტებში მითითებაა ინფორმაციის მოპოვებისთვის დადგენილ კონკრეტულ წესზე, <u>რომელიც, როგორც ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, არ არსებობს.</u>

ამავე სამართლებრივი აქტის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, „მოსამსახურე ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად აღასრულოს სამსახურებრივი მოვალეობები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, შრომითი ხელშეკრულებითა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ფუნქციონალური მოვალეობებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით, სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მითითებებით და სხვა სამართლებრივი აქტებით."

შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სამსახურის გავლის წესი ავალდებულებს შიდა ინსპექტირების სამმართველოს თანამშრომელს კეთილსინდისიერად შეასრულოს კონკრეტული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მოვალეობები და დაიცვას იმ სამართლებრივი აქტის მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება მის საქმიანობას ან სამსახურებრივ ადგილს. თუმცა, ამავე დროს, მსგავსი სამართლებრივი აქტი არ არის შემუშავებული და დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ.

წინამდებარე საქმის ანალიზი

წინამდებარე საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ შიდა ინსპექტირების სამმართველოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, არ დადასტურდა ფინანსთა სამინისტროს

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის დისციპლინური გადაცდომა, ეფუძნება არასრულყოფილად ჩატარებულ სამსახურებრივ შემოწმებას.

მოკვლევის ჩამტარებელ თანამშრომელს არ გამოუყენებია ინფორმაციის მოპოვების ყველა ბერკეტი, თუმცა, კანონიერების ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, შეუძლებელია სამსახურებრივი შემოწმების არაჯეროვნად ჩატარების გამო მის დისციპლინურ პასუხისგებაზე მსჯელობა, რადგან კანონი დეტალურად არ განსაზღვრავს მისი საქმიანობის შესაბამის უფლება-მოვალეობებსა და მოქმედების ფარგლებს.

ვინაიდან, შიდა ინსპექტირების სამმართველო არის სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ევალება თანამშრომელთა სამსახურებრივ გადაცდომაზე რეაგირება, აუცილებელია მის ყველა მოქმედებასა და გადაწყვეტილებას ჰქონდეს მყარი სამართლებრივი საფუძველი, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავსი ნორმატიული ხარვეზი გამოიწვევს სისტემურ პრობლემას, არასამართლიანი გადაწყვეტილებების მიღების, შიდა ინსპექტირების სამმართველოს გამართულად ფუნქციონირებისთვის საფრთხის შექმნისა და ამ სტრუქტურული ერთეულის მიმართ მოქალაქეთა ნდობის შემცირების სახით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ არსებული იურიდიული მოწესრიგების ფარგლებში, ფაქტობრივად, გამორიცხულია სამსახურებრივი მოკვლევის არასრულყოფილად ჩატარების გამო, შიდა ინსპექტირების სამმართველოს თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება, რაც თანამშრომლებში შესაძლოა აჩენდეს დაუსჯელობის მოლოდინს. აღნიშნული კი ცალკეულ საფრთხეებს წარმოქმნის, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მოვალეობის სისტემატურად არაჯეროვან შესრულებასა და თვითნებობასთანაც კი. მსგავსი სამართლებრივი ხარვეზი, მოქალაქეთა უფლებებს სრულიად დაუცველს ხდის საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან არამართლზომიერი ხელყოფისგან. ეს კი განსაკუთრებით საგანგაშოა ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე დაკავებული პირის დაცვის უფლებით უზრუნველყოფასთანაა დაკავშირებული.

შიდა ინსპექტირების სამმართველოს ფუნქციისა და საქმიანობიდან გამომდინარე, საჭიროა უფრო ნათლად და ამომწურავად იყოს ჩამოყალიბებული რიგი საკითხები, რათა სამმართველოს თითოეული თანამშრომლისთვის ცნობილი იყოს საკუთარი უფლებების, მოვალეობების და მოქმედების ფარგლების, ხოლო მოკვლევის არასრულყოფილად ჩატარების შემთხვევაში, მოსალოდნელი დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. სწორედ ამიტომ, საჭიროა შემუშავდეს და დამტკიცდეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური დევნის წესი ან სამსახურებრივი შემოწმების დროს შიდა ინსპექტირების სამმართველოს თანამშრომელთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, სადაც გაწერილი იქნება შიდა ინსპექტირების სამმართველოს მიზნები, ამოცანები, პრინციპები, კომპეტენცია, ხელმძღვანელობა, მოსამსახურეები და მათი უფლებამოსილებანი, ანგარიშვალდებულება, საქმიანობის მეთოდები, სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების საფუძველი, წესი და შემოწმების ვადები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, იუსტიციის

სამინისტროში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში, გენერალური ინსპექციების, როგორიც სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა რეგულირდება ცალკე სამართლებრივი აქტით - დებულებით, რომლითაც განსაზღვრულია შესაბამისი უწყების თანამშრომლის მიმართ დისციპლინური დევნის წარმოების წესი.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შიდა ინსპექტირების სამმართველოს საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული ნორმატიული აქტი ან დეტალური ნორმები არ არსებობს. შესაბამისად, სამმართველოს თანამშრომლის მიერ ჩატარებული არასრულყოფილი სამსახურებრივი შემოწმებისას მოვალეობის არაჯეროვან შესრულებად შეფასების სამართლებრივი საფუძველიც არ არსებობს. სწორედ ამიტომ, საჭიროა შიდა ინსპექტირების სამმართველოს დებულების ან ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოებისა და დევნის წესის შემუშავება, არსებული სამართლებრივი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ რეკომენდაციით, შეიმუშავოთ და დაამტკიცოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის მიმართ დისციპლინური წარმოების ჩატარების წესი, რათა უზრუნველყოფილი იყოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შიდა ინსპექტირების სამმართველოს ეფექტიანი ფუნქციონირება.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი